საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 395

15 07 2014წ.

ქ. თბილისი

მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის უფროსის ნინო წერეთლის 2014 წლის 14 ივლისის №505729 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის ,,ა-გ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში - დაწესებულებები) მიერ მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა ადგილების ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 15 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით.
2. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2014 წლის პირველი აგვისტოდან 21 აგვისტოს 18:30სთ-მდე.

3. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 26 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით.

4. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციას (სამსახური) ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის, მათ შორის ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი ელენე ჯიბლაძე

ეროვნული იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
202330566